

ემოციური ინტელექტისა და სოციალური სწავლების მნიშვნელობა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

DOI: 10.52340/erp.2024.05.42

აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში ინტელექტუალური კოეფიციენტის მახასიათებლების პარალელურად მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ტერმინმა „ემოციური ინტელექტი“ (EQ).

თანამედროვე კვლევებით ცნობილია, რომ მაღალი IQ-ს მქონე ადამიანები უფრო ნიჭიერები არიან, თუმცა, წარმატებას ხშირად მათზე დაბალი ინტელექტუალური მაჩვენებლის ადამიანები აღწევენ. ამის მიზეზად ემოციური ინტელექტის მაღალი ხარისხი სახელდება.

ემოციური ინტელექტი ადამიანის ინტერპერსონალური უნარია, რომელიც განისაზღვრება გრძნობებისა და ემოციების კონტროლის შესაძლებლობით. იგი მოიაზრებს საკუთარი თავის მართვას, რაც საბოლოოდ, ქმნის სოციალური ცნობიერების ფონზე ადამიანური ურთიერთობების წარმატებულად წარმართვის შესაძლებლობას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, ძირითადად, მოსწავლის ცოდნის შექმნას, ანუ, ინტელექტუალური უნარის განვითარებას ისახავენ უპირველეს მიზნად, მაშინ როცა სოციალური და ემოციური სწავლების როლი უმნიშვნელოვანესია და ხშირად აღიქმება როგორც მომავალი წარმატების გარანტი.

რამდენად ფლობს თანამედროვე სკოლა აღნიშნული კუთხით მოსწავლის განვითარების მიდგომებს?

სოციალურ-ინტელექტუალური სწავლების რომელი კონკრეტული კომპონენტები არიან დაკავშირებული მოსწავლის აკადემიურ წარმატებასთან?

როგორაა მორგებული ეროვნული სასწავლო გეგმა აღნიშნულ საკითხს და რამდენად შედეგიანია მასწავლებელთა ტაქტიკა პიროვნების ემოციური ინტელექტის განვითარებაში?

რა გამოწვევები და ბარიერები შეიძლება წარმოიშვას სოციალ-ემოციური სწავლების პროცესში?

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მივდივართ კონკრეტული შემთხვევების შესწავლისა (Case study) და აქამდე არსებული თეორიული კვლევების (ემპირიული) შედეგების აუცილებლობამდე. კვლევის რელევანტურობის დასასაბუთებლად ჩნდება დარგის ექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუების საჭიროებაც.

წინამდებარე მცირე კვლევისას წარმოჩნდება თანამედროვე სწავლების აუცილებელი ორიენტირები და ემოციურ-სოციალური სწავლების საჭირო ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: ემოციური ინტელექტი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, აღზრდა, დასწავლა, შემოქმედება.

შესავალი

„ლიდერობისთვის აუცილებელი უნარების მქონე ადამიანების გამოვლენა ხელოვნება უფროა, ვიდრე მეცნიერება“ (გოლემანი, 2018, გვ. 1). ყველაზე წარმატებული ლიდერები ერთმანეთს ერთი საერთო ნიშნით გვანან: მათ ემოციური ინტელექტის მაღალი მაჩვენებელი აქვთ.

აღმოჩნდა, რომ მაღალი ემოციური ინტელექტი, საერთოდ არაა სავალდებულო თანდაყოლილი უნარი იყოს, როგორც რაიმე განსაკუთრებული ნიჭი. მეტიც, მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია, რომ აღნიშნული კოეფიციენტის ზრდადობა ადრეული ასაკიდან სპეციალური დასწავლითაა შესაძლებელი.

ემოციური ინტელექტის შემადგენელი ნაწილი ემოციური თვითრეგულაციაა, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად უმჯობესდება. იკვეთება რთული ემოციების მართვის შესაბამისი სტრატეგიები, რომლებიც ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ: განხორციელდეს აქტივობები, როლებიც პრობლემების გადაჭრისკენაა მიზანმიმართული და გამომუშავდეს მიდგომები, რომლებიც ემოციების მოთმენაზეა ორიენტირებული. ყოველივე ამისათვის მნიშვნელოვანია ემოციის გაგება, რადგან შემდგომ შესაძლებელი იქნეს მისი კონტროლი და მართვა. ემოციები ადამიანის ევოლუციური ზრდის შემადგენელი ნაწილია და ის ქცევის მოტივატორად და სხვადასხვა მიზნის განხორციელებისათვის ხელშემწყობ უნარად მიიჩნევა.

ლიტერატურის მიმოხილვა: 1900-იან წლებში, როდესაც ინტელექტის ტრადიციულ განმარტებებში მისი მარტოდენ კოგნიტური ასპექტები განისაზღვრებოდა, ზოგიერთი მკვლევარი უკვე საუბრობდა ინტელექტის არაკოგნიტური ასპექტების როლსა და მის მნიშვნელობაზე პიროვნების ზოგადი ინტელექტის ფორმირების კუთხით. ასე მაგალითად, 1920 წელს **ედუარდ თორნდაიკმა** შემოიტანა „სოციალური ინტელექტის“ ცნება. მოგვიანებით, მეოცე საუკუნის მიწურულს, **ჰოვარდ გარდნერმა** გამოიყენა ტერმინი „მრავლობითი ინტელექტი“, რომელიც ადამიანის ინტერპერსონალურ და ინტრაპერსონალური უნარების ერთობლიობას მოიაზრებდა.

პირველად ემოციური ინტელექტის მოდელი მკვლევრებმა **პიტერ სალოვეიმ** და **ჯონ მეიერმა** წარმოადგინეს საკმაოდ ვრცელ სამეცნიერო სტატიაში, სადაც განიხილეს ემოციური ინტელექტი, როგორც უნარი. მოგვიანებით, მათ გააღრმავეს კვლევა და საკუთარი ნააზრევი წიგნად გამოსცეს. ავტორები ემოციური ინტელექტის კონცეფციებს განიხილავენ, როგორც კონცეპტუალიზაციისა და შესაძლებლობების სინთეზს. ჩვენთვის მათი ნაშრომი საინტერესო იყო საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პოლიტიკის ხედვის რაკურსით. სალოვეისა და მეიერის კვლევებით ემოციური ინტელექტის შემადგენელი სამი ადაპტირებული შესაძლებლობების კატეგორია გამოიყოფა: 1. თვითშეფასება და ემოციის გამოხატვა; 2. ემოციების რეგულირება და 3. ემოციების გამოყენება აზროვნებასა და შემოქმედებით პროცესში. პირველი კატეგორია, როგორც საკუთარი, ასევე სხვისი ემოციების აღქმა და შეფასებაა, რომლებიც ვერბალურ და არავერბალურ ქვეკომპონენტებად იყოფა. ასევეა მეორე კატეგორიაც, ხოლო მესამე, მოიაზრებს ემოციების გამოყენებას პიროვნების ქმედებების დაგეგმვისა და შემოქმედებითი აზროვნების პროცესში, რომელშიც ყურადღების მიპყრობისა და მოტივაციის ქვეკომპონენტებიცაა განხილული (Salovey & Meyer, 1990).

1995 წელს **დენიელ გოლემანმა** ვრცელი კვლევა ემოციური ინტელექტის შესახებ წიგნად გამოსცა და მალევე იგი ბესტსელერად იქცა. ავტორი წიგნში სიღრმისეულად განიხილავს აღნიშნული უნარის წარმოქმნისა და განვითარების საწყისებს, საუბრობს მის მნიშვნელობაზე და საბოლოოდ, პასუხს სცემს თავდაპირველად გაჟღერებულ კითხვას, თუ რა ქმნის ლიდერს. გოლემანი მეიერისა და სალოვეის მოდელს ემხრობა და საფუძვლიანად შლის მის მიმდინარეობებს. გოლემანი პირველად ემოციური ინტელექტის შეფასებას

ახდენს, შემდეგ მნიშვნელოვან ასპექტად კი თვითცნობიერებას მიიჩნევს, რომელსაც მესამე რგოლამდე, თვითრეგულაციამდე მივყავართ (Goleman, 2005).

2007 წელს, კალიფორნიის უნივერსიტეტში გამოიცა ემოციური ინტელექტის გზამკვლევი, სადაც თავმოყრილია ბოლო წლების კვლევები და განხილულია საინტერესო ქეისები. წიგნში მეთორმეტე თავი ოჯახში სოციალიზაციისა და ემოციური რეგულაციის საკითხებს ეძღვნება. ავტორებმა **სარა მეიერმა და როს ტომპსონმა** სწორედ ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდი შეისწავლეს და წარმოგვიდგინეს საინტერესო კვლევა აღზრდის პროცესში ემოციების გავლენების მნიშვნელობის შესახებ (Thompson & Meyer, 2007).

ბავშვთა ფსიქოლოგის **ჯონ პანეპინტოს** კვლევა ბავშვთა ემოციური ინტელექტის განვითარების ფაქტორებსა და მშობლების როლის მნიშვნელობას გვამცნობს. ავტორის აზრით, ემოციური ინტელექტის აღმოცენება გაცნობიერებიდან იწყება. თვითცნობიერებას კი ემოციური გამოცდილება ქმნის. სხვადასხვა რეფლექტური პროცესიდან ემპათია ვითარდება, რაც მოზარდს სხვისი ემოციების გაგებაში ეხმარება (პანეპინტო, 2020).

ხათუნა მარწყვიშვილი და მათა მესტერიშვილი პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების, ემოციური ინტელექტის, შემოქმედებითობისა და სტრესის დაძლევის სტრატეგიებს იკვლევენ. ემოციური ინტელექტი, ესაა ზოგადი ინტელექტის გარეშე არსებული მახასიათებელი და რაც უფრო მეტად მაღალია მისი კოეფიციენტი პიროვნებაში, მით მეტია წარმატება სოციალურ ურთიერთობებში (მარწყვიშვილი & მესტერიშვილი, 2010).

ემოციური ინტელექტის პოპულარობა ბოლო ათწლეულში საქართველოშიც გაიზარდა და აღნიშნული კონსტრუქტით ბევრი მკვლევარი დაინტერესდა. ემოციური ინტელექტის ფაქტორი სამუშაო ბულინგთან მიმართებაში პეტრიდესის მიერ შექმნილი კითხვარით იკვლია **სალომე გოგოლიშვილმა** სამაგისტრო ნაშრომში. მან კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რას ნიშნავს ემოციური ინტელექტის მაღალი დონე: პიროვნება კარგად შეასრულებს სამუშაოს (გოგოლიშვილი, 2019).

ჩვენს საკვლევ თემატიკას ეხმიანება **ანა ჭირაქაძე** საკუთარი სტატიით „**მოზრდილთა მიჯაჭვულობის კავშირი სოციალურ შფოთვისა და ემოციურ ინტელექტთან ქართულ კულტურაში**“. მოცემულ ნაშრომში შესწავლილია მოზრდილთა სოციალური შფოთვისა და ემოციური ინტელექტის კავშირის ურთიერთმიმართებები (ჭირაქაძე, 2022).

სტატიის კონტენტის მეთოდოლოგია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის კონსტრუქტივისტულ პარადიგმაზე დაფუძნებული სინთეზით შევადგინეთ. რაკი ემოციური ინტელექტი საქართველოში შედარებით ახალი ცნებაა, შესაბამისად, ქართული პრაქტიკა არ მოიცავს წლების მანძილზე დაკვირვებების შედეგად შესწავლილ მოვლენებსა და ფაქტებს. საკვლევ თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე, აუცილებლად მივჩნიეთ შემთხვევების შესწავლის, კონკრეტული მაგალითის ანალიზის გამოყენება, ე.წ. **Case study**. რაკი, ჩვენი კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მოზარდებს შეეხება, უპირატესად მივიჩნიეთ ჩიკაგოს საჯარო სკოლებისა და სან-დიეგოს გაერთიანებული სკოლების გახმაურებული სიტუაციების ემპირიული შესწავლა სხვადასხვა წყაროს გამოყენებით. Case study-ს მეთოდით მოხდა კონკრეტულ სიტუაციებზე ფოკუსირება, მოვლენის დეტალური აღწერა და ინდუქციური ანალიზი.

საკვლევ თემაზე მონაცემები ჯგუფური ინტერაქციის გზით მოვიპოვეთ და **ფოკუსჯგუფი** ტყიბულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ჩართულობით შევადგინეთ. აღნიშნული მეთოდით ცხადი გახდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების (პედაგოგების) დამოკიდებულება შესასწავლი საკითხისადმი.

სოციალური რეალობის დასადასტურებლად წარმოვადგინეთ **სიღრმისეული ინტერვიუს** ანალიზი დარგის ექსპერტთან. სტრუქტურირებული ინტერვიუს ნარატივი ემოციური ინტელექტისა და სოციალური სწავლების ექსპერტ თამარ ჩიჩუასთან უფრო ინფორმაციულსა და რელევანტურს ხდის ჩვენს კვლევას.

რაკი სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი მახასიათებელია მჭიდრო კავშირი თეორიასა და ემპირიულ კვლევებს შორის, ნაშრომის **თეორიული ჩარჩო** წარმოვადგინეთ **ჯეიმს გროსის, რიჩარდ რაიანის, ედვარდ დესისა და დენიელ გოლემანის** თეორიებზე დაყრდნობით.

მკვლევარი **ჯეიმს გროსი** ემოციების მართვის თეორიას შემდეგი დეფინიციით გვთავაზობს: „ემოციების მართვა არის პროცესი, რომლის დროსაც ინდივიდი გავლენას ახდენს იმაზე, თუ რომელი ემოცია ექნება, როდის ექნება ეს ემოცია, როგორ განიცდის და როგორ გამოხატავს“ (Gross, 2014, p. 68). გროსის მოდელის მიხედვით, ინდივიდი სტიმულს

რაიმე კონკრეტული სიტუაციიდან იღებს და ადეკვატური რეაქციით პასუხობს. გარკვეულწილად სწორედ ეს სიტუაცია წარმოადგენს სიგნალს ინდივიდისათვის, რაზეც ფიზიოლოგიური, ქცევითი ან კოგნიტური რეაქცია აქვს. გროსი აქვე გვთავაზობს ემოციების მართვის ორ გზას: წინაპირობაზე ორიენტირებული მართვა (როდესაც ინდივიდი მართავს ემოციის გამომწვევ სიტუაციას მისი მოდიფიკაციით ან ყურადღების გადატანით) და პასუხზე ორიენტირებული მართვა (აქ ინდივიდი მანიპულირებს და ემოციას არ ცვლის, მხოლოდ ემოციურ ნიშნებს აკვირდება და ძირითადად სხეულის ენას, ჟესტებს ან მიმიკებს იყენებს).

რიჩარდ რაიანი და ედვარდ დესი დეტერმინაციის თეორიას ავითარებენ და ემოციური ინტელექტის კოეფიციენტის ზრდადობის მთავარ მოტივატორად ადამიანების პერსონალური ავტონომიის უზრუნველყოფას მიიჩნევენ (Ryan & Deci, 2000, p. 68).

საბოლოოდ მივედით ემოციური ინტელექტის თეორიებისა და კვლევების ფუძემდებელ **დენიელ გოლემანის** თეორიამდე, რომელიც მეტათეორიას მოტივაციისა და პიროვნული განვითარების შესახებ. გოლემანი მნიშვნელობას ანიჭებს სოციალური და კულტურული ფაქტორების გავლენას ადამიანის ცხოვრებაში და საკუთარ კვლევებში ერთ კონტინუუმზე განალაგებს შიდა და გარე ფაქტორებს (Goleman D., 2005).

ლევ ვიგოტსკის, „სოციო-კულტურული თეორია“ ერთ-ერთი პოპულარული თეორიაა საგანმანათლებლო სივრცეში, რომელშიც სოციალური გარემოა პასუხისმგებელი მაღალი კოგნიტური პროცესების განვითარებაზე და რომელიც ადამიანში აყალიბებს აბსტრაქტულ აზროვნებას.

რადაგნაც ემოციური ინტელექტი სამომავლო წარმატების ასეთი მნიშვნელოვანი პრედიქტორია, საჭიროდ მივიჩნიეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგთა ჩართულობისა და მათი ქცევის შესწავლა. კვლევის დასაწყისშივე გამოიკვეთა **პრობლემა**: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სრულიად ორიენტირებულია ცოდნის შეძენასა და ინტელექტუალური უნარის განვითარებაზე, სოციალურ-ემოციური სწავლების როლი კი მიჩქმალული და უგულვებელყოფილია. შესაბამისად, ჩვენს **მიზანს** წარმოადგენს შევისწავლოთ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური სწავლებისა და ემოციური აღზრდის რეალური ვითარება (ტყიბულის

მუნიციპალიტეტის მაგალითზე) და წარმოვადგინოთ რელევანტური სურათი, რომელიც დაეხმარება საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებსა და სხვა კომპეტენტურ პირებს სტრატეგიებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში.

ემოციური ინტელექტი - ადამიანებთან ურთიერთობის უნარი

ემოციური ინტელექტი გოლემანის განმარტებით არის ადამიანის უნარი, შეიმეცნოს საკუთარი თავი და გამოხატოს სხვათა მიმართ ემპათია, მოახდინოს ემოციების რეგულირება და მართვა. სანამ უშუალოდ ჩვენს კვლევაზე გადავალთ, საჭიროდ მივიჩნით აღნიშნული საკითხისადმი კვლევების პროტოგამოცდილებასაც შევუხებთ.

ინტელექტის შესახებ თეორიების თანახმად, ემოციური ინტელექტი ოთხ უნარად იყოფა: **თვითცნობიერება** (გააცნობიერო საკუთარი ემოციები და ზუსტად იცოდე რა ემოცია წამოვა კონკრეტულ სიტუაციაში. თვითცნობიერების ზრდასთან ერთად იზრდება ადამიანების უნარი მიაღწიონ საკუთარ მიზნებს); **საკუთარი თავის მართვა** (გამოიყენო საკუთარი ცნობიერება ემოციების სამართავად და პოზიტიურად მართო საკუთარი ქმედება); **სოციალური ცნობიერება** (გააცნობიერო სხვა ადამიანის ემოციები, მოისმინო, დააკვირდე); **ურთიერთობების მართვა** (შენი სოციალური ცნობიერების გამოყენება ურთიერთობის წარმატებით მართვისათვის). დასკვნა ისაა, რომ ემოციური ინტელექტი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის უნარი გააცნობიეროს და მართოს საკუთარი და სხვისი ემოციები.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების სფეროში ცალსახად აღნიშნავენ, რომ ემოციური ინტელექტის განვითარება სავსებით შესაძლებელია და შედეგის ეფექტიანობას სწორედ ადრეული, სასკოლო ასაკი განსაზღვრავს. უკვე ჩვენშიც აკეთებენ აქცენტს, რომ სკოლებში სასურველია დაინერგოს სოციალური სწავლებისა და ემოციური განათლების სპეციალური პროგრამები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მოსწავლეებში იმედგაცრუებით, ბრაზით გამოწვეული ემოციური ფონის მართვის სწავლება.

სოციალური სწავლების პროგრამის ფუძემდებელი, ამერიკელი მკვლევარი დინა ჰაუსმანი, უკვე წლებია თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მის საავტორო SEL (Social Emotional Learning) პროგრამაში ინტეგრირებულია ისეთი უნარები, როგორცაა ძიება,

რეფლექსია, საკუთარი თავისა და სხვისი შინაგანი სამყაროს შეცნობა. ჰაუსმანი იმის შესახებაც ოპერირებს, რომ საუკეთესო შედეგი დაწყებით კლასებში დაფიქსირდა.

განვიხილოთ, დაანონსებული „ქეისები“. ჩიკაგოსა და სან-დიეგოს პორტფელი ერთმანეთის მსგავსია. ორივეგან სავალალო სიტუაცია იყო სკოლებში, ისე, რომ მშობლები მასობრივად ატოვებინებდნენ შვილებს სასკოლო დაწესებულებებს მზარდი დისციპლინური გადაცდომებისა თუ ბულინგის შემთხვევების გამო. ბევრი კვლევით დადასტურდა ბულინგის ნეგატიური შედეგების გარდაუვალობა, რომელიც თავს იჩენს თავდაპირველად ინდივიდუალურ, შემდგომ კი ორგანიზაციულ დონეზე... შედეგი ყველგან ნეგატიური ხასიათისაა, მაგრამ ინტენსივობა ინდივიდუალურია, რაც შეძლება სხვადასხვა ვფაქტორზე იყოს დამოკიდებული, როგორცაა ემოციური ინტელექტი და პიროვნული მახასიათებლები“ (გოგოლიშვილი, 2019, გვ. 8).

2011 წელს ჩიკაგოს საჯარო სკოლებმა განცხადება გააკეთეს, რომ მოსწავლეთა შორის დაფიქსირებული იყო დაბალი აკადემიური მოსწრება, ბულინგისა და კონფლიქტების ხშირი შემთხვევები. სიტუაცია გამწვავებული იყო, როგორც მოზარდთა შორის, ასევე მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთობაშიც. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა აღიარეს, რომ მწვავე აუცილებლობას წარმოადგენდა აღნიშნული საკითხების მოგვარება. სკოლების მენეჯმენტმა ერთხმად დაიწყო ყოვლისმომცველი სოციალურ-ემოციური სწავლების ინიციატივა, რომლის მიზანი იყო ემოციური ინტელექტის მნიშვნელობის გაზრდა.

სკოლების კურიკულუმებში მკაფიოდ და ოფიციალურად განისაზღვრა SEL გაკვეთილები და მოსწავლეები წლების მანძილზე ვარჯიშობდნენ თვითშემეცნებისა და თვითმართვის უნარების გამომუშავებაში, ეუფლებოდნენ პოზიტიური ურთიერთობების წარმართვისა და კონფლიქტების კონსტრუქციულად მოგვარების სტრატეგიებს. პროგრამაში ჩართეს მშობლები და ის საზოგადოება, რომელიც მოსწავლეთა სოციალურ გარემოს ქმნიდა. რამდენიმე წლის შემდეგ სახეზე იყო შედეგი: გაუმჯობესებული აკადემიური ჩართულობა, მოტივაციის მკვეთრი ზრდა, მეგობრული და სასიამოვნო ატმოსფერო. შემცირდა დისციპლინური ინციდენტები, ბულინგისა და დისკრიმინაციის ფაქტები.

ანალოგიური შემთხვევები დაფიქსირდა სან-დიეგოს საჯარო სკოლებსა და კოლეჯებში 2013 წელს. სოციალ-ემოციური სწავლების აუცილებლობის მიზეზი გახდა მზარდი ქცევითი პრობლემები, გამუდმებული კონფლიქტები. გამოვლინდა მოსწავლეთა დეპრესიის მასობრივი შემთხვევები, რაც სკოლის კლიმატზე უარყოფითად აისახა. ადმინისტრაციამ ანალოგიურ საშუალებებს მიმართა. სკოლებში დაინერგა სოციალურ-ემოციური აღმზრდელი ტექნიკები. ყოველდღიურ საგაკვეთილო გეგმებში გაიწერა ემოციური უნარების გასაუმჯობესებელი აქტივობები, შემუშავდა რესურსები. სკოლებმა შექმნეს სისტემები სოციალური სწავლების ინიციატივების ეფექტურობის მონიტორინგისათვის. შედეგი ორი წლის შემდეგ, მაგრამ საკმაოდ პოზიტიური იყო: სტანდარტული და დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგებმა 12 პროცენტის ზრდადობა დააფიქსირა. შეჩერდა დისციპლინური ინციდენტები. მასწავლებლებმა საყოველთაოდ აღიარეს საგაკვეთილო პროცესებზე პოზიტიური ატმოსფერო და ეფექტიანი სწავლება. გაუმჯობესდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებიც.

აღნიშნული შემთხვევების გაანალიზებისას იკვეთება პროცესის გრძელვადიანი გავლენები: **გაუმჯობესებული ურთიერთობები** (მაღალი EI-ს მქონე მოსწავლეები გაცილებით უკეთესად ურთიერთობენ თანატოლებსა და უფროსებთან, რაც დადებითად აისახება სკოლის გარემოზე); **გაუმჯობესებული აკადემიური მოსწრება** (EI ხელს უწყობს სტრესის მიმართ გამძლეობის მენეჯმენტს, რის მეშვეობითაც სტუდენტები ეფექტურად უმკლავდებიან აკადემიურ ზეწოლას); **კონფლიქტების მოგვარება** (EI-ში დახელოვნებული სტუდენტები ფლობენ ურთიერთობის მოგვარების საუკეთესო სტრატეგიებს, რაც ქმნის ჰარმონიულ ატმოსფეროს); **ჩართულობის ზრდა** (მაღალი EI ზრდის მოტივაციას და პოზიტიურ განწყობას სწავლის მიმართ და აძლიერებს აკადემიურ გამოწვევებს).

რა ვითარებაა ამ მხრივ ქართულ სკოლებში? ჩვენი ფოკუსი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებით განისაზღვრა. ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სივრცე ნაკლებად ფლობს ინფორმაციას ემოციური ინტელექტის შესახებ. სკოლებში არაა სოციალური სწავლების მეთოდოლოგია. ერთადერთ საშუალებას მოსწავლეებთან ექსტრაკურსულარული აქტივობებისათვის სპეციალურად გამოყოფილი „კლასის საათი“ წარმოადგენს, სადაც ნაკლებად ხდება აღსაზრდელთა სოციალური ინტეგრირება.

სპეციალურად შედგენილი კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა მუნიციპალიტეტში არსებული 27 საჯარო სკოლის პედაგოგების უმრავლესობა. შედეგად ცხადია არსებული პრობლემები და გამოწვევები. ტყიბულის სკოლების მაგალითი მეტ-ნაკლებად ზუსტად ასახავს საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ მდგომარეობასაც. ფაქტია, რომ სოციალური სწავლებისა და ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა პედაგოგების მხოლოდ 50 პროცენტშია გაცნობიერებული, თუმცა სასკოლო აქტივობებში ამ მხრივ არაფერი კეთდება. ასევე, აღნიშნულ საკითხებზე ტრენინგებს მასწავლებელთა უმრავლესობა არასდროს დასწრებია. ფაქტობრივად არ არსებობს მსგავსი შეთავაზებებიც. მიუხედავად ამისა, მრავალკონტინგენტთან სკოლებში ხშირია ბულინგისა და მოსწავლეთაშორისი კონფლიქტების შემთხვევები. პედაგოგებიც არანაკლებ უჩივიან მოსწავლეთა ქცევით გამოხატულებებს. როდესაც აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ემოციური ინტელექტის ექსპერტსა და ქოუჩს, თამარ ჩიჩუას მივმართეთ, მან დაადასტურა, რომ SEL სწავლებისა და EQ მნიშვნელობა ნაკლებადაა გათვითცნობიერებული ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში. ექსპერტთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ ტრენინგებისა და სასწავლო შეხვედრების დაკვეთები ხშირია ბიზნესკომპანიებიდან, ხოლო განათლების სფეროს წარმომადგენლები აღნიშნული საკითხისადმი ინდიფერენტულობას იჩენენ.

ჩვენ გვაქვს საკმაოდ ცნობილი მაგალითები, თუ როგორ დადებით გავლენას ახდენს სოციალ-ემოციური სწავლების სტარტეგიების შემუშავება სკოლებში მოსწავლეთა განვითარებასა და მათ პიროვნულ მდგრადობაზე. სოციოლოგი ჯონ პეიტონი წლების მანძილზე იკვლევდა აღნიშნულ საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით 300-ზე მეტი კვლევა ჩატარდა და 300 000 მოსწავლე გამოიკითხა. დადგინდა, რომ SEL პროგრამით კურსდამთავრებული მოსწავლეები 20 %-ით უფრო უკეთეს შედეგს დებდნენ, ვიდრე პროგრამის მიღმა დარჩენილები.

ინტერვიუსას აღინიშნა, რომ, რაკი დაინტერესება არნიშნული საკითხებისადმი საკმაოდ ზრდადია, ეტაპობრივად მოხდება საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება და დანერგვა. აქვე იკვეთება გამოწვევები, რომლებსაც შესაძლოა წავაწყდეთ მუშაობის პროცესში. საჭიროა მზად ვიყოთ შემდეგი დაბრკოლებებისათვის:

- **ცოდნის ნაკლებობა** (ბევრ მასწავლებელს არ აქვს და არ ექნება ადეკვატური საინფორმაციო განათლება სოციალური სწავლების სფეროში, რადგან მასწავლებელთა გადამზადების ტრადიციული პროგრამები ორიენტირებულია მხოლოდ აკადემიურ შინაარსსა და სწავლის სტრატეგიებზე).
- **კულტურული განსხვავებები** (საკლასო სისტემა მოიცავს განსხვავებული კულტურული, ეთნიკური, რელიგიური და სოციალ-ეკონომიკური წარმომავლობის მოსწავლეებს. ვიცით, რომ თითოეულ კულტურას გასწავლებული ნორმები აქვს ემოციური და სოციალური ურთიერთქმედების შესახებ. ამ ყოველივემ შესაძლოა განსხვავებული ინტერპრეტაციები და გაუგებრობაც კი გამოიწვიოს).
- **ემოციური ბარიერები** (ზოგიერთი მოსწავლე სკოლაში უკვე დაძაბული ემოციური ფონით მიდის. სახეზეა ისეთი პრობლემები, როგორცაა დეპრესია, შფოთვა, ოჯახური კონფლიქტები. ესეც ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება SEL პროგრამაში ჩართულობისათვის).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ აკადემიურ სფეროში უკვე უცხო აღარაა ემოციურ ინტელექტზე დაფუძნებული კიდევ ერთი პროგრამის „კონფლიქტის კრეატიულად გადაჭრის პროექტის“ (The Resolving Conflict Creatively Project) შესახებ.

დასკვნა

სპეციალისტებისა და ჩვენ მიერ შესწავლილი მაგალითების საფუძველზე შესაძლოა დავასკვნათ, რომ სოციალ-ემოციური სწავლის პროგრამას სკოლაში მოაქვს მოსწავლეთა გაუმჯობესებული თვითშეფასებაა, პოზიტიური განწყობა და შემცირებული ძალადობრივი ფაქტები. უმჯობესდება აკადემიური შედეგები. ემოციური ინტელექტის სწავლება შესაძლებელია ნებისმიერ ასაკში, თმცა სასურველია ადრეული პერიოდიდან.

საბოლოოდ, მკვლევრები თანხმდებიან, რომ ემოციური ინტელექტი ერთმანეთთან დაკავშირებული ემოციური და სოციალური კომპეტენციების ნაკრებია, რომელიც ამყარებს სოციალურ ურთიერთობებს და უმკლავდება ყოველდღიურ გამოწვევებსა და დატვირთვებს. ეს ის უნარია, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გამოიმუშაოს და განავითაროს ინდივიდმა, რათა პირად ურთიერთობებსა თუ პროფესიულ სფეროში წარმატებას მიაღწიოს.

დასასრულ, შეგვიძლია მოკლედ ჩამოვყალიბოთ რომ სოციალურ-ემოციური სწავლების პროგრამები პირდაპირკავშირშია აკადემიურ ზრდათან და ზუსტად ასწავლის EI უნარებს. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ დაკვირვებისა და სხვადასხვა კვლევის შესწავლის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციებიც, რომლებიც დაეხმარება ჩვენს სკოლებს ემოციური ინტელექტის განვითარებასა და შემდგომში, დადებით გავლენას მოახდენს GPA-ზე.

- **თანამშრომლობითი სწავლება** (გუნდური მუშაობა და თანატოლებთან ურთიერთობა).
- **პროექტზე დაფუძნებული სწავლება** (მოსწავლეთა ჩართულობა რეალურ სიტუაციებში).

გამოყენებული ლიტერატურა:

Goleman, D. (2005). *Emotional Intelligence*. New York: Bantam Books.

Goleman, D. (2012). *Emotional Intelligence: Why It Can Matter More Than IQ*. New York: Random House Publishing Group.

Gross, J. (2014). *Handbook of Emotion Regulation*. New York: Guilford Publication.

Magliano, J. (2017). *Why a child's social-emotional skills are so important, psychology today*.

Ryan, R., & Deci, E. (2000). Self-Determination Theory and the Facilitation of Intrinsic Motivation, Social Development, and Well-Being. *American Psychologist*, 68.

Salovey, P., & Meyer, J. D. (1990). Emotional Intelligence. *Sage Journals*.

Thompson, R. A., & Meyer, S. (2007). Socialization of Emotion Regulation in the Family. *Handbook of emotion regulation*. -ში California: University of California, Davis.

გოგოლიშვილი, ს. (2019). *ემოციური ინტელექტს, სამუშაო ბუღინგსა და კონტროლის ლოკუსს შორის ურთიერთმიმართება*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გოლემანი, დ. (2018). *ემოციური ინტელექტი*. თბილისი: ბიზნესლიტერატურა.

მარწყვიშვილი, ხ., & მესტერიშვილი, მ. (2010). ემოციური ინტელექტი - უნარი, პიროვნული ნიშანი და კომპეტენცია. *საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე*.

პანეპინტო, ჯ. (2020 წლის 27 თებერვალი). 3 გზა ბავშვებში ემოციური ინტელექტის გასავითარებლად. (ა. გაბისიანი, თარჯ.) თბილისი.

ჭირაქაძე, ა. (2022). მოზრდილთა მიჯაჭვულობის კავშირი სოციალურ შფოთვისა და ემოციურ ინტელექტთან ქართულ კულტურაში. *ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები*.

The Importance of Emotional Intelligence and Social Learning in General Education Institutions

Abstract

In the 21st century, alongside intellectual quotient characteristics, the concept of "emotional intelligence" (EQ) has gained significant prominence.

Modern studies indicate that individuals with high IQs may possess notable talents, yet success often favors those with lower intellectual abilities due to their higher emotional intelligence. Emotional intelligence pertains to a person's interpersonal skill set, involving the ability to manage emotions and self-control, crucial for effective human relationship management within social contexts. Mainstream educational institutions primarily focus on imparting knowledge to students, emphasizing intellectual development, while the role of social and emotional learning is increasingly recognized as pivotal for future success. To what extent do modern schools incorporate approaches to foster student development in this regard? What specific components of social-emotional learning correlate with academic achievement? How is the national curriculum adapted to address these issues, and how effective are teachers' strategies in nurturing emotional intelligence?

Various challenges and barriers may arise in the process of social-emotional learning. Therefore, examining specific case studies and comparing existing theoretical studies through empirical research, including in-depth interviews with experts in the field, becomes crucial to justifying the relevance of such studies.

This small-scale study aims to highlight essential orientations in modern education and underscore the critical aspects of social-emotional education necessary for comprehensive student development.

Keywords: emotional intelligence, general educational institutions, education, learning, creativity.